

წლის დროები ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობით ქართულსა და მეგრულში

SEASONS IN THEIR GENERAL AND CONCRETE MEANINGS IN GEORGIAN AND MEGRELIAN

მარიამ ხუბუნაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Mariam Khubunaia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

 <https://orcid.org/0009-0005-0263-1222>

საკვანძო სიტყვები: დრო, წლის დროები, მეტრიკული დრო, ზეპირსიტყვიერება, მეგრული ენა
Keywords: time, seasons, metrical time, folk literature, Megrelian language

ABSTRACT

Time is a universal category. Man has measured time since prehistoric epoch. Initially, time was expressed by lexical units of general meaning. However, in the process of communication, it became necessary to divide time and make it more concrete. At the earliest stage of human existence, this problem was solved by means of metrical time, which is expressed by lexical means denoting countable units of time. Out of these, the largest unit is the year.

The paper aims to analyze the semantics of language means denoting seasons in Georgian and Megrelian folk literature. In particular, the paper proves that these lexical units are not restricted by the semantics of concrete seasons and also denote time in general. By comparing Georgian and Megrelian data, the paper identifies similarities and differences between the two languages. This approach is important from two viewpoints: on the one hand, it reveals the peculiarities of the genre with regard to the expression of metrical time. On the other hand, it reveals the similarities and differences between Georgian and Megrelian empirical material. The issue is topical and interesting due to the ample empirical data of folk literature, embracing almost every genre. For centuries, this literature was spread orally. Examples of folk literature were recorded later, but they still preserve the most ancient code of information.

Analysis of the ample empirical material (printed texts, corpus bases, field material) leads to reliable conclusions.

The paper is a novelty because it is the first attempt of systemic research of general and concrete meanings of lexical units expressing seasons in Georgian and Megrelian folk literature. The empirical material has been analyzed using descriptive-statistical, historical-com-

parative, syntagmatic and paradigmatic analysis, field-work and elicitation methods.

The paper analyzes Georgian and Megrelian lexical units denoting seasons: “gazapxuli/gazarxuli (gopireli)” (spring), “zapxuli/zarxuli” (summer), “šemodgoma/damorčili” (autumn), “zamtari/zotonži” (winter).

Research has proved that the above-mentioned lexical units denote not only concrete units of time but general time as well. In Georgian, general time is usually expressed by compound words. For instance,

(1) “is zamtar-zapxul... gaučereblad dazunzulebda” (It was running non-stop all the year round (literally, all the winter-and-summer) (Georgian Folk Tales, 2009, p. 37).

Such compounds are not found in Megrelian. In both languages under analysis, there are nouns with suffix -ობა /oba/, denoting repeated actions in concrete time: (2) “zapxulobit sopelši mivdivar; zarxulobit sopeliša mevurk” (In summer, I go to my village).

In both languages, this semantics is also expressed descriptively:

(3) “qovel zapxuls; iri zarxurs” (every summer).

Attention should also be paid to the Georgian collocation “zamtris pirze” (on the edge of the winter). The speaker makes the time more precise, namely, the beginning of winter. General time is also denoted by the prefixal form “sazamtrod” (for winter), cf. Megrelian “zotonžišot”. In Georgian, we have circumfix /sa-o/ in the adverbial case. In Megrelian, the lexeme of the same semantics is given in the special benefactive case-form denoting purpose/function.

The outcomes of the research are important not only for linguists but for the specialists in the adjacent fields as well.

1. წელი/წელიწადი ქართულსა და მეგრულში

წელი (ქართ. „წელი“, მეგრ. „წანა“) კონკრეტულ მეტრიკულ დროებს შორის ყველაზე დიდი მონაკვეთია. მასთან მიმართებით განისაზღვრება დროის სხვა მონაკვეთები, ესენია: წლის დროები, თვეები, დღეები. ჩვენი ინტერესის ობიექტი სწორედ **წლის დროებია**. მოხსენებაში განხილულია წლის დროითი მონაკვეთების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართულსა და მეგრულში: გაზაფხული / გაზარხული (გოპირელი), ზაფხული / ზარხული, შემოდგომა / დამორჩილი, ზამთარი / ზოთონჯი.

თავდაპირველად ქართველთა მოდგმის ტომები წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ; ამიტომ საფიქრებელია, რომ უძველესი უნდა ყოფილიყო **მთვარის** წელიწადი. მთვარე ძველისძველ ხანაში ქართველთა მთავარი ღვთაება იყო, ქართველებმა მისი სახელით თვეც აღიშნეს (შდრ.: ქართ. თთუე, მეგრ. თუთა, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1. მთვარე, 2. თვე). მთვარის წელიწადი ჩვენთანაც ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც, თუნდაც, ძველ ირანში. შემდეგში საქართველოში მთვარის წელიწადი შეუცვლია **მზის** წელიწადს. ეს სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა იგივე მოვლენა იყო, მაგალითად ირანსა და სომხეთში. ირანულ-სომხური ელემენტები ქართული თვეების დასახელებაში მაჩვენებელია იმისა, რომ მათი შემოსვლიდან ჩვენში დამყარდა ისეთივე მზის წელიწადი, როგორიც მიღებული იყო ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში. შემდეგ ჩვენში უნდა დამყარებულიყო **უძრავი** წელიწადი. ხშირად ქვეყნები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ რომაელთა წელიწადისთვის. რომაელებს ადგილობრივი მოძრავი წლის ნაცვლად შემოჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში უძრავი წელიწადი და ცხადია, ასე უნდა მომხდარიყო ჩვენთანაც. როდის? ზუსტად არ არის ცნობილი, თუმცა საფიქრებელია, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა რომაელთა გავლენის ქვეშ მოექცა (კეკელიძე, 1956). საქართველოში ნელ-ნელა დამკვიდრდა, ამჟამადაც მოქმედია, მზის უძრავი წელიწადის სისტემა, თუმცა თვეების თანმიმდევრობაში და ასევე მათ სახელწოდებებში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება (ქობალავა, 2020).

რაც შეეხება მეგრულ **წანას** „წელს“, იგი უნდა განეკუთვნებოდეს ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდს. წლის სიმრავლე ქართულსა და მეგრულში გამოიხატება რაოდენობით და განუსაზღვრელობით რიცხვით სახელებთან შესიტყვებით; მაგალითად, ქართული: ხუთი წელი, ორი წელი, მეგრ.: სუმი წანა „სამი წელი“, ბრელი წანა „ბევრი წელი“ და ა.შ. მხოლოდ ერთი წლის მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ქართული „წელიწადი“ და მეგრული წარმონაწილ/წანმოწანა „წელიწადი“. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში არ საჭიროებს რაოდენობითი რიცხვითი სახელის დართვას (ქობალავა, 2020).

1.1. წლის დროები ქართულსა და მეგრულში

რაც შეეხება უშუალოდ წელიწადის დროებს, ზაფხულისა და ზამთრის აღმნიშვნელი სიტყვების ძირები ქართველურ ენებში საერთოა, გაზაფხულისა და შემოდგომის სახელები კი ამავე ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი. ასევე წყვილადაც ჯგუფდებიან ხოლმე ეს სიტყვები. მაგალითად, ქართულში **ზამთარ-ზაფხულ** ასე ერთად აღებული მთელ წელიწადს ნიშნავს, გაზაფხული და შემოდგომა კი ამგვარად ერთად არ გამოიყენება, მით უმეტეს ამ მნიშვნელობით. ასევე ვამბობთ **ზამთარში, ზაფხულში**, მაგრამ – **გაზაფხულზე, შემოდგომაზე**. ამდენად, საკმაოდ ბევრი საბუთი არსებობს იმ აზრის გასამყარებლად, რომ წელიწადის დაყოფა ოთხ პერიოდად ქართველურ ენებში ერთდროულად არ მომხდარა. ზაფხულსა და ზამთარს შორის დაპირისპირება ემყარება ნათლად გამოხატულ კლიმატურ თავისებურებებს, როგორცაა: სიცხე და სიცივე (ჭუმბურიძე, 1988).

გაზაფხული ნამდვილად **ზაფხულ**-ისაგან უნდა იყოს ნაწარმოები. **გა**-მხოლოდ ზმნისწინი შეიძლება იყოს; ამიტომ, სავარაუდოდ, ჯერ გაჩნდებოდა ნა-სახელარი ზმნა „**გაზაფხულდა**“, მისგან კი წარმოიქმნა წელიწადის დროის აღმნიშვნელი სიტყვა **გაზაფხული**. დასავლური არეალის მიხედვით, შემოდგომის მეგრული სახელწოდებაა „**დამორჩილი**“, ის მიმღეობაა **დამორჩა** ზმნისა, რომელიც მიღებული უნდა იყოს ქართული სიტყვისგან „**მორჩი**“ (ყლორტი).

გაზაფხული ქართულიდან შევიდა მეგრულში და გვხვდება როგორც უცვლელი ფორმით (**გაზაფხული**), ისე რამდენადმე ფონეტიკურად შეცვლილი სახით (**გაზარხული**) (ჭუმბურიძე, 1988).

წლის შემადგენელი ე.წ. სეზონური დროითი მონაკვეთები ქართულისა და მეგრულის თანამედროვე მეტრიკულ სისტემაში წარმოდგენილია შემდეგი სისტემით: ქართ. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი; ხოლო მეგრ. ზაფხული/ზარხული „ზაფხული“, ზოთონჯი „ზამთარი“, გაზაფხული/გაზარხული, აფუნი „გაზაფხული“, დამორჩილი, მუჟღირი „შემოდგომა“, ანუ ოთხარიანი სისტემა გვაქვს (ქობალავა, 2015).

აღნიშნული ერთეულები ხშირად დასტურდება ზეპირსიტყვიერების ტექსტებში (ამ თვალსაზრისით ქართული და მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მიმოხილვა ვრცლად იხ. ხუბუნაია, 2022).

2. ქართული ემპირიული მასალა:

ა) კონკრეტული დრო

- (1) „**გაზაფხული** რომ დადგა, სხვა ჩიტების მსგავსად, ჩიორამაც ერთი ხშირტოტიანი ხე მონახა და მოხერხებულ ადგილას ბუდე ჩადგა“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 5).
- (2) „ერთ **გაზაფხულზე** კაცმა შეაბა გუთანში ხარები და შეუდგა ხვანას“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 119).

- (3) „**გაზაფხულზე** მონადირეებმა ლომი მახეში გააბეს, ცოცხლად შეიპყრეს და საჩუქრად ხელმწიფეს მიჰგვარეს“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 16).
- (4) „**გაზაფხულზედამც** დამღევდა ადიდებული წყალიო,
ან ზოგი ჩამამიტანდა, რო დაღვებებიან მთანიო“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 103).
- (5) „რარიგ მწარეა **გაზაფხული** მწვანითა, ტყველთ ბიბინითა...“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 149).
- (6) „ყინულის კაბა შავკერე,
მალა შავკიდე ჭერჩიგა,
გაზაფხულ შაკიდებული
ჩამავიტანე სთველჩიგა“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 233).
- (7) „**გაზაფხულ** რახან მოვიდას,
მარტია ველად გაგვივა“ (ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ. I 1961, გვ. 150).
- (8) „--რახა- **გაზაფხულ** მავიდას,
მინდორს გაგავლე გძელსაო“ (ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ. I 1961, გვ. 314).
- (9) „ვირო, **გაზაფხულამდე** ნუ მოკვდები და იონჯაც მოვაო!“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 33).
- (10) „ერთი ყვავილით **გაზაფხული** არ მოვაო“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 66).
- (11) „მააგონდებათ ქალებსა სადამო **ზაფხულისაო**,
სიმღერა ერთმანეთშია, ლექსობა ვაჟებისაო“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 98).
- (12) „მით მიხაროდა **ზაფხული**, ცხვრით რო გათეთრდის მთებიო,
მაგით წამუელ შირვანში, სუ დავისწავლე გზებო“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 183).
- (13) „**ზაფხულს** მოველი დამდეგსა, ფოთოლბალახსა მთისასა,
სიუხვით აყვავებასა ამ ჩვენის ადგილისასა...“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 186).
- (14) „ვინა ხარ, გულჭირიანი, დიკლოს ვინ ბრუნავ ბანზედა?
ჭირით ჩამოლევ ზამთარსა, **ზაფხულს** მოელი ძალზედა“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 61).
- (15) „სახელსირცხვილ დამიკარგა
მოსვლამ **ზაფხულისამო**“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 233).
- (16) „ეხლა მოგვივა **ზაფხული**,
მარტია ველად გაგვივა“ (ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ. I 1961, გვ. 360).
- (17) „ასე გალიეს **ზაფხული** და **შემოდგომა**“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 71).
- (18) „კაცი ყოველ **შემოდგომაზე** რთველს მართავდა, მოინვევდა მეზობლებს- ხალხს, ნადირ-ფრინველს და ვაზის გემრიელი ნაყოფით უმასპინძლებოდა“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 109).
- (19) „**შემოდგომის** ბუზი უფრო მწარედ იკბინებო“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 187).
- (20) „**შემოდგომით** საზრდო თავ-ბუზებსაც კი აქვთო“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 235).
- (21) „იმ **ზამთარს** კაცი გამოქვაბულიდან არ გამოსულა“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 16).
- (22) „შაშვო, დაგინვი გალობა ამ შუა იანვარშია, არ იცოდა, **ზამთარი** არ დადგებოდა ცაშია?“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 191).
- (23) „მაჰყვება ხელაისშვილი ცივის გომბორის სერებსა.
ზამთარს ჰყვავიან იანი, აქ კაცს რა დააბერებსა“ (ხალხური პოეზიის ანთოლოგია 2010, გვ. 185).
- (24) „ზეზვაის ცხენო. ამ **ზამთარ** ბაგა გამახარ კბილითა“ (ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ. I 1961, გვ. 322).
- (25) „ვისაც **ზამთარში** ღვინო უნდა, ზაფხულში უნდა გაისარჯოსო“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 79).
- (26) „**ზამთარში** ნაქერალი ცხენი ზაფხულში ლაშქარს გამოჩნდებაო“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 81).
- (27) „ზაფხულში დაფხვნილი **ზამთარში** გამოგადგებაო“ (ხალხ. სიბრძ. V 1965, გვ. 82).

ბ) ზოგადი დრო

- (28) „მეცხვარეს ცხვარი **ზაფხულობით** თრიალეთის მთაში ჰყავდა, **ზამთრობით** - ყიზლარის საძოვრებზე, და წესად ჰქონდა დადებული, თვეში ორ-სამჯერ წავიდოდა ფარის სანახავად და, როცა ფარეხში მივიდოდა, თავის მწყემსს ასე მიმართავდა...“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 144).
- (29) „**ზამთარ-ზაფხულ**, **დღე** და **ღამე** გაუჩერებლად დაძუნძულებდა და რასაც მოახელთებდა, კბილგაუკრავს არაფერს უშვებდა“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 37)[1].
- (30) „**ზამთრის პირზე** საშოვარი შემოაკლდათ, რადგან ხალხმა ცხვარ-ძროხა და საქონელი თბილ გომურებში გამოკეტა, ხოლო როცა კარგა **დაზამთრდა** და თოვლი ჩამოყარა, მთლიანად გამოელიათ“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 71).
- (31) „მეორე ფეშხო **საზამთროდ** ჩააბასტურმა, ტყავისა კი თბილი ქურქი შეიკრა“ (ქართ. ხალხ. ზღაპრ. 2009, გვ. 20).

1.3. მეგრული ეპიკური მასალა:

ა) კონკრეტული დრო

- (32) ზესქვი, მუ რე კუთანქუნი?
მალას მურსი **გაზარხული**.
„შაშვო, რასა კვნესი?
მალე მოვა გაზაფხული“ .
(ქართული ხალხური სიტყვიერება I 1975, გვ. 245).
- (33) „ათე სეზონ დემთავრებუდუნი, **გაზაფხულს** იჭყაფუდუ თეშ დამუშავება“ - ეს სეზონი რომ დამთავრდებოდა, გაზაფხულზე იწყებოდა ამის დამუშავება (ექსპედიციის მასალები).
- (34) „ართ გორდის დიარა ნოღვე,
გაზაფხულიშჰკა მარტის

- ერთ ბაყაყს ქორწილი ჰქონია,
გაზაფხულის შუა მარტში“
(ქართული ხალხური სიტყვიერება I 1975, გვ. 230).
- (35) „**ზარხულს** მოსვანჯა ვა გიღუ
ხოჯენს გილარაყენქი
ზაფხულში მოსვენება არა გაქვს,
ხარებს მიერეკ-მოერეკები“ (ქართული ხალხური
სიტყვიერება I 1975, გვ. 126).
- (36) „ართი ბალი გავაკეთი
ზარხულიში მაფალუე
ერთი ბალი გავაკეთე
ზაფხულში მოყვავილე“ (ქართული ხალხური სი-
ტყვიერება I 1975, გვ. 139).
- (37) „ართი ბალი გავაკეთი,
ზარხულიში გილაღურო
ერთი ბალი გავაკეთე,
ზაფხულში სასეირნოდ“ (ქართული ხალხური სი-
ტყვიერება I 1975, გვ. 165).
- (38) „შურო ქიმენდებუქუ და,
გინოგიგა **დამორჩილს**
სულ (ცოტათი) თუ მენდობი,
გადაგიხდი შემოდგომაზე“ (ქართული ხალხური
სიტყვიერება I 1975, გვ. 205).
- (39) „ართი-ჟირც ირო ქიფთხ(ი)
ირი წანაში **დამორჩილც...**
ერთ-ორს მუდამ ვითხოვ
ყოველი წლის შემოდგომაზე“ (ქართული
ხალხური სიტყვიერება I 1975, გვ. 210).
- (40) „ირი წანაში **დამორჩილს**
ყუდეს მულაძვეძღდგნი
ყოველ წელს შემოდგომაზე
შინ რომ ირეოდნენ“ (ქართული ხალხური სი-
ტყვიერება I 1975, გვ. 221).
- (41) „**დამორჩილი** ქუმურსინი,
კონი გეგორთინუა
შემოდგომა რომ მოვა,
ისევ შემოგაბრუნებ“ (ქართული ხალხური სი-
ტყვიერება I 1975, გვ. 238).
- (42) „ია დო ვარდიშ ყოროფას
ზოთონჯიშას უღუ ვადა
იისა და ვარდის სიყვარულს
ზამთრამდე აქვს ვადა“ (ქართული ხალხური სი-
ტყვიერება I 1975, გვ. 84).
- (43) „თი **ზოთონჯ(ი)** თი ჩაფიფით
გეითიზოთესია
ის ზამთარი იმ ჩაფულებით
გამოიზამთრეს“ (ქართული ხალხური სიტყვიე-
რება I 1975, გვ. 233).
- (44) „**ზოთონჯ**ვერგუდუჩაი, ოლონდოწილარო. **ზა-**
მთარსჩაისწილუაჯარე“ (ექსპედიციის მასა-
ლები).
- (45) „**ზოთონს**მუთუნმიკოლუაფავაკოდუჩაის“(ექსპე-
დიციის მასალები).
- (46) „სივარდისი ვაუჯგუდე, შენ ვარდს რომ არ
ჯობდე,
ვარდი **ზოთონს** ვავარდენს, ვარდი ზამთარში

არ ვარდობს,
მუჭო ვარდის უჯგუქენი, რომ ვარდს სჯობი-
ხარ,
მაფშალია გამართლენს.ბუღბული გამა-
რთლებს“ (ქართული ხალხური სიტყვიერება I
1975, გვ. 38).

(47) „უბადო **ზოთონჯიში** მაგინძარეჟია. -- ავი ზამთა-
რით გრძელი ხარო“ Megrelian Texts ed. Danelia-
Canava: DC, And.u, 488 (444, m)

(48) „დედიბიქ **ზოთონს** ციმუა მიგორუა. -- დედაბე-
რმა ზამთარში მარწყვი მოინდომამო“ Megrelian
Texts ed. Danelia-Canava: DC, And.d, 119 (424, m)

ბ) ზოგადი დრო

(49) „ჩაიშ წილუა ორდუ **ადრე გაზაფხულს**, გინობა-
რუა მიშუ, გეგნოვბარუნდით ჩაისი, გეგნოვჭ-
კირუნდითი, მაისის თუთაშე ხოლო იჭყაფუდუ
წილუა“- ჩაის მოკრეფა იყო ადრე გაზაფხულზე,
გადაბარვა მიდიოდა, გადავბარავდით ჩაის, გა-
დავჭრიდით, მაისის თვიდანაც იწყებოდა მოკ-
რეფა (ექსპედიციის მასალები).

(50) „**ადრე გაზაფხულშე** გინოჭკირუა, ბარუა, ირ-
ფელ ოკო იკეთინუკო“ -ადრე გაზაფხულიდან
გადაჭრა, დაბარვა, ყველაფერი უნდა გაკეთებუ-
ლიყო (ექსპედიციის მასალები).

(51) „ტუნგო **ადრე გაზაფხულს** გოპირანსი ოდო ზა-
ფხულიშ ბოლოსი იმთავრებუ“ - ტუნგო ადრე
გაზაფხულზე ყვავილობს და ზაფხულის ბოლოს
მთავრდება (ექსპედიციის მასალები).

(52) „აშო, ბოში, სკანი ჭირი აქეთ, ბიჭო, შენი ჭირიმე
ზარხულობით გილაფრთათ დო ზაფხულო-
ბით ვიაროთ და
იბტიბუათ ჩხანაია გავთბეთ მზეზე“.
(ქართული ხალხური სიტყვიერება I
1975, გვ. 54).

(53) „თენა გოფალუნდუ **ზაფხულიშ ბოლოსი**, არ-
გუსოს და სექტემბერს ხოლო მიკოროფუნა გი-
თუცუმელი, ჭიე-ჭიეთ გითოცენდუ ოდო გვიანს
ვაბარენდითი“- ეს აყვავდებოდა ზაფხულის
ბოლოს, აგვისტოსა და სექტემბერშიც მოგვიკ-
რეფია ჩამოცვენილი, ცოტ-ცოტა რომ ჩამოცვი-
ვდებოდა და გვიან ვაბარებდით (ექსპედიციის
მასალები).

დასკვნები

ემპირიული მასალების ანალიზმა დაადასტურა,
რომ წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსი-
კური ერთეულები უფრო მეტად კონკრეტულ დროს
გამოხატავენ, ვიდრე ზოგადს. ამგვარი ვითარება
იკვეთება როგორც ქართული, ისე მეგრული მასალები
მისხედვით.

წლის დროებით, სეზონური კონკრეტული დრო-
ითი მონაკვეთების გარდა, ზოგადი დროის სემა-
ნტიკა გამოხატულია სხვადასხვა ენობრივი მონა-
ცემის მიხედვით; კერძოდ,

ქართულში:

ა. ტოლად შერწყმული კომპოზიციით: *ზამთახ-ზაფხუდ* (= *მთედ წედს უფხის*).

ბ. შესიტყვებით: *ზამთხის პიხზე* (= *ზამთხამდე, და-ზამთხებამდე პეხიოდი*).

გ. სა- -ო კონფიქსიანი დანიშნულების სახელით (ვითარებითი ბრუნვის ფორმის ზმნისართული მნიშვნელობის სიტყვა): *საზამთხოფ* (= *ზამთხისთვის*).

მეგრულისთვის არ არის დამახასიათებელი დასახელებული კომპოზიციური მოდელი და შესიტყვება (ა. და ბ. შემთხვევები), ხოლო ქართული დანიშნულების სახელის ფარდი ლექსემა დანიშნუ-

ლებითი ბრუნვის ორგანული ფორმითაა გადმოცემული: *ზოთონჯიშოთ* (სიტყვასიტყვით: **ზამთხისად = ზამთხისთვის*).

ინფორმატორების ნაწილი ქართულსა და მეგრულში განმეორებადი წელიწადის დროის დასახელებით ზოგად დროს უსვამს ხაზს, ნაწილი კი ასეთი ლექსიკური ერთეულებით დროის კონკრეტულ სემანტიკას გამოხატავს.

წლის დროების ენობრივი ასახვა ჟანრების მიხედვით განსხვავებულია.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია საკუთრივ ლინგვისტური და ზოგადად ინტერდისციპლინური თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

აბულაძე, ლ. (1986). დროის სემანტიკური ველის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXV, 3-11, თბილისი: „მეცნიერება“.

აბულაძე, ლ. (1988). ჟამი, დრო და ხანი ძველ ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXVII, 154-164, თბილისი: „მეცნიერება“.

კიკნაძე, ზ. (2007). ქართული ფოლკლორი, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

კეკელიძე, კ. (1956). ძველი ქართული წელიწადი [ქართული წელთაღრიცხვა და თვეების სახელწოდებები], ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ლომაია, შ. (2006). ადგილისა და დროის ზმნისართები მეგრულ-ლაზურში, თბილისი: „უნივერსალი“.

ლომაია, მ. გერსამია, რ. (2015). დროის აღმნიშვნელი ლაზური ლექსიკის სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი, „ენათმეცნიერების საკითხები“, 167-174, თბილისი: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

მოსია, ბ. (2002). მზის ფუნქციური მრავალმხრივობის საკითხი ქართულ ფოლკლორში, ლიტერატურული ძიებანი, XXIII, თბილისი.

მელიქიშვილი, დ. (2009). დროის ცნება, „ფილოლო-

გიური ძიებანი“, 322-326, თბილისი: „ლოგოსი“.

სოხაძე, ქ. (2010). დროის აღმნიშვნელი ლექსიკა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.

ქობალავა, ი. (2015). დროის სემანტიკა მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, 218-251, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ქობალავა, ი. (2020). სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია (მეგრული ენის მონაცემთა ანალიზი), თბილისი: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ჭუმბურიძე, ზ. (1988). წელიწადის დროთა სახელდებისათვის ქართველურ ენებში, I საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, 90-103, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ხუბუნაია, მ. (2022). დროის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, საბაკალავრო ნაშრომი, თბილისი.

ხუბუნაია, მ. (2024). მეტრიკული დროის ენობრივი ასახვა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში (ქართულ-მეგრული მასალების შედარებითი კვლევა), სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი.

წყაროები

სამეგრელოში ველზე მოპოვებული მასალები (2023-2024).

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტომი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქსენია სიხარულიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.

ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები, პოეზია), ტომი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ტოგო გუდავამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975.

„ქართული ხალხური ზღაპრები- „ზღაპარ იყო“, გა-

მომცემლობა „ბაკმი“, თბილისი, 2009;

ხალხური სიბრძნე, ტომი V, ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1965;

ხალხური პოეზიის ანთოლოგია (ზურაბ კიკნაძე, ტრისტან მახაური), გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, თბილისი, 2010;

<https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm?/index.htm>

[1] ამ წინადადებაში ზამთარ-ზაფხულთან ერთად მთქმელი იყენებს დღე და ღამესაც დროის მუდმივობის ხაზგასასმელად.